

პესტიციდების ზემოქმედება გარემოზე

¹სალომე ლომიძე

ელ.ფოსტა sooffoo.lomidze@mail.ru

¹გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 1 0179 თბილისი, საქართველო

სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესში მინერალური და ორგანული სასუქებისა და მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების არასწორმა გამოყენებამ მნიშვნელოვნად დააზიანა გარემო, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია ნიადაგისა და ატმოსფეროს, მცენარეული და ცხოველური პროდუქტების, სასმელი და სარწყავი წყლების დაზიანება სხვადასხვა ტოქსიკური ნივთიერებებით, რაც ხშირად ადამიანისა და ცხოველების არა მარტო მოწამლისა და მძიმე დაავადებების, არამედ სიკვდილის გამომწვევი მიზეზიც გამხდარა. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ატომური და სითბური ენერგეტიკის და სხვა დარგებში მომხდარმა სამეცნიერო ტექნიკურმა პროგრესმა საგრძნობლად გაზარდა ადამიანის ზემოქმედება ეკოსისტემაზე. ამან გამოიწვია გარემოს დაზიანება მძიმე ლითონებით, აზოტისა და გოგირდის ოქსიდებით, ნახშირწყალბად წარმოებულებით, პესტიციდებით, აგროქიმიკატებით და სხვა მრავალი ტექნიკური შენაერთებით. თანამედროვე აგრარული მეურნეობა ხასიათდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასამუშავებელი ინდუსტრიული ტექნოლოგიების ფართო დანერგვით, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს ტექნიკური საშუალებების -პესტიციდების ინტენსიურ მოხმარებას. „საშიშ ქიმიურ ნივთიერებებში“ მოიაზრება გარემოს და ადამიანისთვის მავნე ქიმიკატების ორი უმნიშვნელოვანესი ჯგუფი:

- მდგრადი ორგანული დამაზიანებლები.
- ოზონდამშლელი ნივთიერებები.

სამწუხაროა მაგრამ ფაქტია, რომ მდგრადი ორგანული დამაზიანებლები (ქიმიური ნივთიერებები)ფართოდ მოიხმარება სოფლის მეურნეობაში (პესტიციდების სახით), სამშენებლო მასალების წარმოებაში (მაგალითად დღტ). არცერთი მათგანი საქართველოში არ იწარმოება, მაგრამ გარემო და ადამიანები მაინც აქტიურად განიცდიან მათ ზემოქმედებას. ამასთან ერთად, პესტიციდების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება რთული პროცესია და ამ მიმართულებით ნებისმიერ ქვეყანაში აწყობილი სისტემის (საკანონმდებლო სივრცე, რეგისტრაცია, ტრანსპორტირება, შენახვა, რეალიზაცია, ნარჩენების გაუნებელყოფა, მომხმარებელთა საგანმანათლებლო დონე, უსაფრთხოების დაცვა და სხვა) აწყობილ პირობებშიც კი ბევრ პრობლემასთან არის დაკავშირებული.

ძირითადი სიტყვები: პესტიციდები, გარემოს დაცვა, ნიადაგების დაზიანება